

ლოარი, რომლითაც ამ სასწავლე-ბელთ მიეცათ ნება თავისუფალ მოსარულეთ მიღებისა. ეს წესი მომავალი წლის პირველ იანვრიდან შევა ძალაში.

* *

ძალადის ოც და ხუთ მანეთიანების შესახებ „მმართველობის მოამბეში“ ეკითხულობთ შემდეგ უმაღლესად გამოცემულს წესებს:

ა) დახეული ოც-და ხუთ მანეთიანი ქალაქი არ მიიღება, თუ ის არ შეადგენს სამს მეოხთედს მთელი ბილეთისას, არა აქვს ერთი ნომერი მაინც, ასო სერიისა ერთის მხრით და ხანხანდრის ხელ-მოწერილი.

ბ) დახეული 25-ნი არ მიიღება, თუ რომ დახეული ნაწილების შეერთების შემდეგ ცხადად არ დაინახება, რომ ის ნახევარი შეადგენენ გარკვეულბას მთელი ბილეთებისას.

* *

ხვალ, არწრუნის თეატრში აკაკი წერეთლის „ბინტოს“ წარმოადგენენ ჩვენი ქართული თეატრის არტისტები. სხვათა შორის ჩვენ გავიგეთ, რომ მამუნიას ქალის ავადყოფობის გამო, ბინტოს როლს ითამაშებს მ. საფაროვისა-ბაბაშვიძე.

* *

ჩვენ მივიღეთ ყურნალი „იმედის“ IX წიგნი, რომელშიაც შემდეგი სტატიებია დაბეჭდილი: 1) ბუდნიანი გუნჯული (სურათები, შენიშნები და დაკვირვებანი)—შაქროსი; 2) უწინდელი წგებუნი დედა და შვილი (ლექსი)—თეოფილე პანდელაკისა; 3) ისარი—ქალაქისა; 4) ფეშქაში ჩვენი ჭკუის ვალაფებს—პატრონისა; 5) * * * (ლექსი)—მ. ბ. მ—სა; 6) რა გინდა რა—მ. ჯ.—შვილისა; 7) საქართველოს მოკლე პატრიარქა—შვილისა; 8) „იმედის“ კარანკს-ზანდენცა (პახეთიდან)—რაულ-დელა-ბრამბლესი; 9) წერაღი რედაქტორთან—ლ. ლეკანოზოვისა; 10) იმედის კარანკს-ზანდენცა (ზუგდიდიდან)—ბიდეე ვიტყვისა; 11) ბიბლიოგრაფია—რ. ძამსაშვილისა—ცამციე-

ვისა; 12) შინაგანი მიმოხილვა—მ. ბურგენიძისა; 13) რედაქციისაგან.

„დროების“ კორექსიონი

სხინვალი, 14 ნოემბერი.—ამ ბოლო დროს რუსეთის გაზეთებში ლაპარაკი ატყდა ერობის და ხალხის თვით მმართველობის მოაშორებზე. სწორედ, რომ მართებლობამ ყურადღება მიაქცია ჩვენ თვით მმართველობას და წადილი აქვს ხალხის თვით მმართველობის საქმე უფრო ჭეშმარიტ და ნაყოფიერ ნიდაგზედ დააყენოს. ლაპარაკობენ, სხვათა შორის, რომ სწავლით ერობა და თვით მმართველობა გამოგლიჯონ აღმინისტრაციის და, კერძოდ პოლიციას.

მართლაც რომ ჩვენ თვით მმართველობას თუ აქამდისინ ჯეროვანი ნაყოფი არ მოჰქონდა, ამის უმთავრესი მიზეზი ბიუროკრატული კანცელარიულიზმია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მთელი საუკუნოები ამ გვარი წყობილება სუფევდა დასავლეთ მეროპაშიაც; უკეთესი და განვითარებული ნაწილი საზოგადოებისა, მოწინავე პირნი ცდილობდნენ ამ წყობილობისათვის ბოლო მოეღოთ და დაემკვიდრათ საზოგადოებრივი ადგილობრივი თვით მართებლობა. სადაც ადრე და ფართოდ დაემკვიდრეს ეს თავისუფლება კეთილ-დღეობასაც იქ უფრო ვპოვებთ, სადაც არა—იმასაც ვხედავთ....

როგორც მთელს რუსეთში, ისე ჩვენს საქართველოშიც ხალხის თვით-მმართველობამ ის არ მოგვცა, რასაც მოველოდით. მიბძნდით რომელიმე ჩვენს სოფელში, გასინჯეთ, დააკვირდით იქაურ სასოფლო მართლმსაჯულებას, მამასახლისის და სხვა მოხელე პირთა ყოფა-ქცევას და მაშინვე დაინახეთ—თუ როგორ ისარგებლა ჩვენმა ხალხმა თვით-მმართველობამ. შევლავნ, თითქმის ყველგან ერთი და იგივე სურათი მოსჩანს, —მოხელე პირებმა ან არ იციან თავისი მოვალეობა და თუ იციან,

მოვალეობა საზოგადოების საცარცველად მიიჩნიათ...

თვით მმართველობა აქ დამნაშავე არ არის, დამნაშავე როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ვგრეთვე თვით-მმართველობის ჩინოფიკური ხანაით, ის ჩინოფიკური ხასიათი და მიმართულება, რომელიც, მართლ-ერობას და თვით-მმართველობას კი არა, სხვა რეფორმებსაც ეტყობოდა.

ამ გვარი პოლიტიკურ სისტემას ვხედავ ბევრი მომხრენი ჰყავს მეცნიერთა შორის.

მთავრობამ ყურა დღება მიაქცია ერობის და თვითმმართველობის გაუმჯობესობას. ძეთილი და სასარგებლო წადილიც კარგია!... ჩვენ იმას კი არა ვცდილობთ, რომ ხალხი თვით-მმართველობის სიყვარულში აღვზარდეთ, არა—ჩვენ სრულებით წანადმდეგ მიზანს ველოდით. შორს ნუ წავალთ, ავიღოთ სხინვალი მამასახლისის და სხვა მოხელე პირთა ამორჩევა:—

პირველ ნომებერს მთელი სხინვალის საზოგადოება თავ მოყრილი იყო საყდრის გალავანში. იჩვენდნენ მამასახლისს და მართლმსაჯულობას. დიდი ყაყანი და შეუკავებელი ყვირილი ისმოდა. ნამდვილი სურათი იყო ბაბილონის ბოლოლის აშენებისა! ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაფანტული ფართო გალავანში, როგორც მგლისაგან დაფრთხალი ცხერის ფარა, ბლავილი, ნამდვილად ბლავილი—აი რას წარმოადგენდა, სამწუხაროდ, ეს ბრწყინვალე დღესასწაული ხალხის თვითმმართველობისა! შორიდგან რომ შეგვხედათ, ერთი დიდი თავის მტერევა და ჩხუბი გვეჩვენებოდა... მწყემსი თავის სამწყსოსი—პოლიციის წარმომადგენელი—თუმცა ცდილობდა წესი დაეცვა, მაგრამ... ან განა, არა თუ პოლიცია, არამედ ვინც ხალხი უნდა იყოს, წესს დაიცავს, როდესაც დაიწყებს თავის დარდების და უბედურების გამოაშკარებას?! როდესაც დევაკირდი ზემოდ აწერილს სურათს, მაშინვე ეს ვიფიქრე: ჩვე-

ნი ხალხი ჯერ მომხადებულნი არ არის (დრომ კი საკმაოდ გაიარა) დაწყობით და დიხვად ილაპარაკოს საზოგადო საქმეებზე და არცაა ვინ კისრულობს (მგონია, მოვალე პირნი უნდა იყენენ) ხალხს ხელმძღვანელობა ვაუწიოს ამ შემთხვევაში; მეორედ—ხალხი გულ-მხურვალედ ეკიდება თავის თვით-მმართველობას და გვიჩვენებს, რომ იმას არც ეშინიან და არც არაფის ეხატება თავისი მწუხარება და ვაი-ვაგლანი მტკიცეთ გამოაშკარავოს... მა უკანასკნელი თვისება მეტად ძვირ-ფასია. სჩანს, ხალხი ისე არ არის სულთით და ზნეობით დაცემული, როგორც ჰგონიათ. „მსა და ესა კარგი კაცია!“, მკათიოდ და ღირსეულ კილოზზედ წარმოსტევა პოლიციის ჩინოფიკმა. „არა არ გვიანა, ჩვენი ნებაა!“—მართის ხმით შემბლავლა ხალხმა და აისროლა ჰაერში თავის საყვარელი მასო—შერმაზანოვი... ნება კი მიეცით ხალხს და იმან იცავს ვისაც ამორჩევს!..

საკვირველია. პოლიციამ ურჩია ისეთი პირები, რომელზედაც ხალხმა ერთობ უარი სთქვა. ჩვენ ეს არ გვენდა; ვსთქვათ, ვითომც პოლიციას კეთილი არა სურს ხალხისთვის არა, ღმეთმა დაგვიფაროს ამ გვარი ჰაზრისაგან... ჩვენ კარგად ვიცით პოლიციის გულ-კეთილობა, მაგრამ ესეც კია, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოება იმის რჩევას არ მისდევს.

სხინვალი, როგორც სხვა სოფლები ჩვენი ტურთა და მშვენიერი მამული-სა, შემკული და შეზავებულია სხვა და სხვა „პირველი პირებით“. სხინვალებებს არა-ოდეს არ ამოუჩრჩევიათ მოხელეთ რომელიმე ამ პირთაგანი და ისეც ერიდებიან ამათ, როგორც ძველნი ებრაელები მკეთროვანს. მე გაზდილი ახალგაზდა ვარ, არ ვიკადრებ სხინვალის „პირველ პირებს“ მკეთროვანი ვუწოდო, მე მხოლოდ იმას ვტყვი, რომ ეს „დაგვირგვინებული ბურჯნი“ ჩვენი ცხოვრებისა სახლში იმალებიან, როდესაც ამორჩევის ხანი დასდგება,

ქართველოშიაც აგერ ვინც განდევნილი ყოფილან, დაუტყრიათ*). შინდა შევირგდეთ როგორმე, თორემ საქმე გაჭირდება.

— შერიგება არ იქნების, შენი კენესა მე, სანამ გაგზავნილები არ მოგვივლენ საქართველოდან.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მოვიდა ერთი მთიული. იმისი დალაღვა და აჩქარებული ქმენა, ამტკიცებდა, რომ რალაცა საშური საქმე უნდა ჰქონოდა.

— მეთაურნი სად არიან? იკითხა იმან მოსვლის უმაღლევ.

— აქა ვართ, რაი გინდა?

— აბლიამ გამოგზავნა თქვენთან.

— რაი ანბოვი?

— მაგზავნილი კაცები მოვიდნენ ძალაქიდგან...

— მოვიდნენ? რაი ანბოვი მოგვიტანეს? მისცივიდნენ მოსულს აჩქარებით.

— საქართველო მშვიდობით არის. წამოიძახა იმან და ჩაჰკიდა თავი.

ამ სიტყვებს ისეთი მოქმედება ჰქონდა იქ მყოფებზედ, რომ ხმა ჩაუწყვიტა ყველას ერთბაშად. დიდხანს დარჩნენ ისე ჩუმად თითონ მოსულსაც ვერ გაგებდნა სიტყვის წარმოთქმა და ვერც იქ მყოფებს კითხვა. შევლას ისე ეგონა, რომ ახლად მოსულის სიტყვებზედ იყო დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი და იმის პირის დანძრევასთან ერთად ისინი მოვლოდნენ ღეთის რისხვის დაცემას თავიანთ თავზე. პირველ შეკრთომის წუთმა რო გაიარა, ერთმა მოთაურმა აიღო მალლა თავი, შეხვდა ყველას დაღონებულის თვალთ და წამოიძახა:

— მაქრო!... დასაკლავს ხარს რაი-

და ყურება უნდა?... მვიამბოს რაც მოგვდის.

— ჰაი, ჰაი, გვიანბოს! წამოიძახეს სხვებმა მოუთმენლად.

... საქართველოში ცოტა რაიმე ხალხი მისდგომოდა იულონს და შარნაოზ ბატონიშვილებს, მაგრამ ისინიც ერთმანერთსა სჭამდნენ და გლეჯდნენ. მხლა იმერეთისკენ ყოფილიყვნენ და იქ იულონი დაუტყრიათ და შარნაოზ კი გაქცეულა სადმე*). მხლა აბლიამ შემოგითვალათ დაიშალენითო და რუსს გზა მიეცითო.

— ძალაქი, ქალაქი რაილას შერება?

— ძალაქი რაილას შერება?... ძალაქია მშვიდობიანად მიიღო რუსები...

*) სხვათა შორის ისილე ბუტკოვის „მასალები საქართველოს ასახი ისტორიისთვის“ ტ. III, ფურც. 376.

სანამდისინ ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, სვიმონ ფერ-მიხილი, ჩუმად იღვა და ყურს უგდებდა. ძაცი ვერ გაარჩიდა იმის პირისახეზედ ახარება და ეს ხმა იმას, როგორც ერთს რუსეთის მოსამსახურეს, თუ სხვა რამ გრძნობა აღვლევდა.

— სხვა რალა დავაბარა აბლიამ? იკითხა სვიმონმა მღელვარებით.

— უნდა დავიშალნეთ და წავიდეთ ჩვენ ჩვენს სახლებში.


— მოქებო, მაი, მეთაურნი ავიდეთ აბლიასთან და კარგად გავიგოთ რაიკ ანბოვია.

— წავიდეთ, წავიდეთ!

— მეთაურნო! დაიწყო ისეე სვიმონმა:—წადით აბლიასთან, მე წავალ რუსის ჯარში და სანამ არ ამოვიდა, თქვენცა გთხოვთ და აბლიასაც, გადაწყვეტილება არა მიიღოთ-რა.

— ძარგი იქნება, შენი კენესამე, კარგი!

*) „მასალები საქართველოს ასახი ისტორიისთვის.“ თსსულება მ. გ. ბუტკოვისა, ფურც. 379.



თუმცა კი (ეს ჩვენში დარჩეს), სურვილი დიდი აქვთ ჯაჭვის კისერზედ გადადებისა... რისთვის? — რა მოგახსენო!

პაში ატეხილი ბრძოლა და შური მდიდრების და ღარიბების შორის? ახლად ამორჩეულს მამასახლისს მასო შერმაზანოვს, რომელიც დაბალმა ხალხმა აღტაცებით ჰაერში ისროლა და რომლის მოწინააღმდეგე იყენ ჩვენი „პირველი პირნი“, ამბობენ, არ დაამტკიცებენო; არც მალად აღვიღას უყვართ, არც ცხინვალში მოსწონთ „პირველს პირებსაო“. არა მჯერა! მანა მალალი პირების სიყვარულს და შემწეობასაც შეუძლიან რამე, როდესაც ხალხმა ამოირჩია მოხელედ ის, ვინც სურდა?..

ხ—ი.

ლექსები, 15 ნაკვეთს. მოგვხსენებთ, მთელს ლექსების მაზრაში ერთი პატარა ბაზარია დ. ლაილაშს, სადაც ვაჭრობს რამოდენიმე კომლი თვითაქვე მცხოვრები სომხობა და დანარჩენი ებრაელები. აქ არის აგრეთვე მაზრის სამმართველო, მომრიგებელი სამსახულო, მაზრის სასწავლებელი და სხვა.

პარგი ხანია გავრცელებულია ხმა, ზემო-ხსენებული სასამართლოები სასწავლებლებით სოფ. საგერში გადააქეთო, და ამათ უკან უნდა გაჰყვენ ლაილაშის ვაჭრებიცო, თავის ბაზრითო. ამ ხმამ ისე დაფრთხო ამ დაბის სომხობა და ებრაელები, რომ ლამის შიშით დაიხოცონ. ამათ, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ეს შიში არ ეზრახვით, რადგან ამათი ცხოვრების საფუძველი სრულიად დაინგრევა და ისე, რომ იქნება, თავის დღეშიაც ვეღარ მოესწორან აწენებას, თუ ის ხმა გამართლად.

მაგრამ ამათ თავი დაეანებოთ და გარდაიხედოთ საზოგადოებისკენ. აქ დაეინახეთ, რომ უმეტესი ნაწილი თანაუგრძობს ვაჭრების გულის ტკივილს. მსენიცი ძალიან სწუხან და შიშობენ ზემო-ხსენებული სასამართ-

ლოების საგერში გადატანას, რადგან უმეტესი ნაწილი ამათგანი ისე დაშორებულია სოფ. საგერზედ, რომ მართლა გაუჭირდებათ საქმე. ამასთან აწუხებთ სასწავლებლის სახლიც, რომელზედაც რამდენიმე ათასი მანეთი წავიდა თავად-აზნაურობის ფულგებდგან; ეს სახლი შემდეგ აღარაფერში გამოსადევი აღარ იქნება, და ბევრი სხვა ამ გვარები. საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი; უმრავლესობას შეადგენს პარტია, რომელიც თხოულობს, რომ ხსენებული უწყებანი ისევე ლაილაშში დარჩეს, ხოლო უმცირესობა კი გადატანას თხოულობს, და ამ უმცირესობის მოთხოვნის იმედი უფრო საყურადღებოდ მიჩნია აქაურს მაზრის უფროსს, რომელიც ყველა საქმეში ზომებს ხმარობს სისრულეში მოყვანილ იქნეს ამ პარტიის სურვილი, და გადატანილ იქნეს სასამართლოები საგერში. მხლა, როგორც მოგვხსენებთ საქმე უკანასკნელს კალაპოტშია: ამ საგანზედ აზრი წარდგენილია მთავარ-სამმართველოში, დღეს ანუ ხვალ დარჩენაზედ, ანუ გადატანაზედ ხელი უნდა მოაწეროს მთავარ-მმართველის მოადგილე.

ამისათვის იმატა ორივე პარტიას შორის მღელვარებამ ამ საგანზედ. ჭეკლას ყურადღება ამაზედ აქვთ მიქცეული. ჭეკლა ამას ეკითხება, ნეტავი როგორ წავა საქმე? ლაილაშში გაიმარჯვებს თუ საგერი? მაგრამ ნამდვილი, რასაკვირველია, ვერავის ვერ უთქვამს. ორივე პარტიას თავ-თავიანთ კანდიდატების ღირსებასა და უპირატესობაზედ აქვს დაფუძნებული იმედები და როგორ გათავდებ—ეგ ღმერთმა იცის. ლაილაშის მოსარჩლენი ხელ-გულ დაკრებილი არ შეჰყურებენ მთავარ-სამმართველოს გარდაწყვეტილებას. ამათ შეადგინეს თხოვნა შესახებ იმისა, რომ არ იქნეს გადატანილი ლაილაშში; მოიხსენეს თვითოველი ღირსება და ნაკლულებანება ორივე ადგილისა; მოაწერეს ხელი და გზავნიან მთავარ სამმართველოში; რაც

მოიხმაროთ, შალავათი მისცეთ მთის ხალხს.

— მაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე მეგ სავანზედ იქნება ცდა.

ამის შემდეგ სვიმონმა უამბო ყოველი შევიწროება და უსამართლობა, რომელიც კი აქვთ მიყენებული ამ ხალხს, რომელიც ყველაზედ ხშირად ხედება მომავალს რუსებს და რომელიც ყველაზედ საჭიროა იმათ მოძრაობისათვის. აქედგან გამოჰყვანდა აშკარა შედეგი, რომ ამ ხალხს დაყვება უნდა და უფრო კაცობრიული და მეგობრული ქცევა.

— აი მაგალითად, თქვენი ერთი აფიცრები, რომელიც ისე უსამართლოდ მოექცა მეურმე მოხვევებს, თქვენ არც-კი დასტუქსეთ.

— მართალს ამბობთ, მართალს! ბოლოს სვიმონ გამოეთხოვა იმას

შეუძლიანთ, ეჩქარიან დროით გაგზავნონ, ხსენებული თხოვნის ქალაქი, რადგანაც ემინანთ მანქანის არ გათავდეს ამ საქმის ბედი. მნათ-როგორ წავა საქმე: ლაილაშს დარჩება ბურთი და მოედანი, თუ საგერს? მიაქცევენ ამ თხოვნას ყურადღებას, თუ არა? ჩვენი ჰაზრით, კი არ იქნება ურიგო, რომ უმრავლესობის აზრს მიექცეს ყურადღება.

ქაიხოსრო გელაგანი.

მიცვალებულის დასაფლავების ჩვეულება სპანეთში

მისაც კი უფლია სეანეთში და გაუტენია ცოტათი მაინც ამ ხალხის გონებითი მხარე და ჩვეულება, იმას კარგად ეცოდინება, რომ ზოგიერთი ისეთი ჩვეულება და წესები არის კიდევ აქ ხმარებაში, რომლის კვალი დანარჩენ საქართველოს მხარეებში აღარ მოიძებნება, რომელიც ძალიან ვანსხვავებულ ფერსა სდებს ამ ხალხის ზნეობით მხარეებს დანარჩენ საქართველოს ხალხთან. ადგილთ თუნდ ერთი მაგალითი ამ ხალხის ჩვეულების: მიცვალებულის დასაფლავება და მისი სულის სამსახური.

მოკვდება თუ არა კაცი ხსენებულს ხალხში, იმავე დღეს მიცვალებულის პატრონმა მთელი თავის სოფლის ხალხს, უნდა თუ არა, შეუძლიან თუ არა—მიუხედედოდ ამისა უნდა გაუმართოს სადილი. მეორე დღეს დამარხვის შემდეგ მთელი თავის სოფლის ხალხი, თუ გინდ ეს შეადგენდეს ორას-სამას კომლს, უნდა მიიპატიჟოს კიდევ ჭირისუფალმა და მიართვას რამდენი სულია ოჯახში ყველას თითოეულად ორი პური და ერთი კათხა (დიდი ჭიქა), ღვინო ან არაყი. ამ კერძს ვერ მოაკლებენ ვერც ახალ დაბადებულ ბაღასა და ვერც დაწინდულს სასძლოს, თუ გინდ მეორე სოფელშიაც სცხოვრებდეს.

ზამოგლოვის დროს, ზოგან ეხლაც კიდევ იციან, ორი სამი წელიწადი ხორცის უჭმელობით გლოვა თავიანთ მიცვალებულისა, განსაკუთრებით დე-

და წავიდა აბდიასთან, სადაც ყველანი შეყრილიყვნენ.

პირველი მისალმების შემდეგ, სვიმონმა დაიწყო ლაპარაკი საზოგადოდ საქართველოს მდგომარეობაზედ, სადაც იმის შეილება თავ-რეტ-დასხმულნი გაყოფილიყვნენ ათას დასებად, ჰგლეჯდნენ და ჰფლეთდნენ ერთმანეთს და ამის გამო, ყველაზედ საჭიროა, საერთო საქმე რჩემოდა უკან მაშინ, როდესაც პირადი საქმე კი გამოდიოდა წინ. ისარგებლა გზავნილის კაცებისგან მოტანილის ამბით და ბოლოს გაათავა იმითი, რომ ეხლა მართო მთიულებს, მოხვევებს და საზოგადოდ მთის ხალხს ვერა გაუვა—რა და ბრძოლით, წინააღმდეგობით მხოლოდ მომეტებული მტრობა ჩამოვარდება იმათ და რუსების შუა.

— მეტი რაი დღე გექვს, შენი კვენსამე, უნდა დაეშალნეთ! წარმოსთქვა აბდიამ.

და-კაცებმა; უნდა დაუკლან ხალხს უფელი ხარი, ან ძროხას, კიდევ რომ სურდეს და არ ჰყავდეს სახლიში, მაინც ვერ აიცილებს თავიდან ამ ხარჯს, როგორმე უნდა მოიხერხოს. არის ბევრი მაგალითები, რომ ხალხს ძალად უყიდვინებია ჭირისუფალისათვის და ისე გაუმართავთ, აღუსრულებით სჯულად გადაქცეული ჩვეულება.

როგორც ამ მოკლე აღწერილად დაინახეთ, ეს ჩვეულება მძიმეა ხალხისთვის, მეტადრე ისეთს ქვეყანაში, სადაც ღვინო სრულიად არ მოდის და სადაც ხალხი იძულებულია ორისამი სააღონე ღვინო ვალად აღებული ფულით უნდა იყიდოს, უნდა წაიღოს სამოცი ოთხმოცი ვერსის სიშორეზე და ეს ასე უბრალოდ უსარგებლოდ უნდა დახარჯოს ხარჯი, რომელიც არც მიცვალებულის სულისათვის არის სასარგებლო და მოსახმარი და არც ცოცხლები უმადლიან.

ბევრი ამ გვარი უსარგებლო და ხალხის ეკონომიური მხარეების დამაზარალებელი, მანებელი ჩვეულება არის კიდევ დარჩენილი სეანეთში, რომელიც საჭიროა მოიხსნოს, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი.

საზოგადოდ რელიგიური მხარე ამ ხალხისა კიდევ არ არის რიგიანად შემუშავებული. აი ამისთანა ხალხშია საჭირო კარგი განათლებული, გონება-განხილი მღვდლები, რომლებმაც თავისის მოძღვრებით და მაგალითების ჩვენებით გაუხსნან, გაუწმინდონ ხალხს გონება და შეუფუშონ ტყინი, რომ როგორც სჯულის და სარწმუნოების მხრით, აგრეთვე სამოქალაქო წყობილებით დააყენოს სწორ გზაზედ, მოამზადოს ისე, რომ რომ შესაფერად აღსრულებდნენ როგორც სჯულის შესახებ, ისე მოქალაქობრივ ჩვეულებათა და წესებს. ჭეკლა ეს შეუძლია კარგად მომზადებულ, განვითარებულს სულიერ მამებს. აი ამ გვარი პირები უნდა იგზავნებოდნენ ზემოხსენებული მიმართულებისა და ჩვეულების მექონ

— ჰო, უნდა დაეშალნეთ, მაგრამ უნდა დაეარწმუნოთ, რომ მეგობრობა მოგვიწადნია იმათთან.

— ამ გვარს საქმეში, მეგ გვარი ქცევა ვერ ჩაითვლება პატიოსნების წინააღმდეგობად.

— შენ იცი, შენი კვენსამე, შენ! რაიც გინდა, ისა ჰქენ... მხლა ჩვენ ყველანი შენ გენდობით! წარმოსთქვა აბდიამ.—არა, ვოყებო!

— ჰაი, ჰაი, ვენდობით. იყო საერთო პასუხი.

ამის შემდეგ ბევრი ხანი აღარ გამოსულა, როდესაც გათენდა და სვიმონმა გამოსწია რუსის ჯარისაკენ. მთიულებმა გაუხსნეს იმათ გზა და გახარებული რუსები გავიდნენ ამ „ჯოჯოხეთის ადგილებიდან.“

(გაგრძელება)

სვიმონი შეჯდა ცხენზედ და გასწია რუსების ბანაკისკენ, სადაც მოუთმენლად ელოდნენ იმას.

მაიგო თუ არა რუსის ჯარის მოთავემ იმისი მოსვლა, მაშინვე გამოექანა და უთხრა:

— ბატონო სვიმონ! დაგვიხსენ ამ მდგომარეობიდან!.. ასე რომ მცოდნოდა, როგორ არ გავიგონებდი თქვენს რჩევას!

— მაგისტვის ცოდნა კი არა რწმუნება არის საჭირო; ჩვენი ხალხი გულ-წრფელია და თუნდაც რომ არ თანაუგრძობდესთ, მაინც, რაკი სიტყვით შეგვეპრობიან, უეჭველია, გიერთგულდებნენ უკანასკნელს სულის აღმოხდამდინ...

— მაშ კარგი, განაგრძო სვიმონმა, მე წავალ, გეცდები რაც კი ჩემგან შეიძლება, მხოლოდ თქვენც თქვენის მხრით უნდა ყოველი ღონისძიება

ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ უფრო გარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად საცალო და საქლებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო წიგნები და მოთხოვნილებისა და-გვარად დახაზული რეკულები, ასი-5 მსენთი, მუხიკალური ნოტები, სხე და სხვა საწერი წიგნები და მა-სალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთ-ხოვნილებას ძალაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირვე-ლივე წამომავალი ფაშტითა.

(50-19)

ისყილება

25% ნაკლებ მინამ სხვა აღაგას ჩაი, გაგაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მე-რბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქსები, ბაკლები, თევშები, ჩაინიკები, სუდოკე-ბი, ფოდნოსები, პირის-სახანი, კლიტე-ბი, სამურკელი, ტანისამოსის საკიდი, გაგსები, დასები, კალმები, ქადალი, განკრტები, რკულები, ვარანდები, თოფები, რკოლკურები, კრკები, ჰლაშ-ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი-ონკა, უნაგირები, ლაგები, უთოები, ტანტები, პირისსხოცი, ცხვირის-სახოცი, ხუდეები, ტუალეტის საშონი, დუხები, შარბათი, ციტატმანგუნია, ქინას ღვი-ნო, შორტკუინი, სერესი, კონიავი და ათასი სსუ. რამეები, — ინფლისის მა-ლაზიაში. იქვე ჩაი ვაჭარათავის ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ. — წონა უქადადლოთ.

თოფები 20-60 მან., ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრი-კიადამ-120 მან. რკოლკურები 4-34 მან. და ბუდოგისა 11-20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ; შეჭიდის და-ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კან-დამ დუჟ., აღბომები ნასეკარ ფასად, ფილ-ტრები და სსუ.

უკვლავად უმრავლესი ამოწიკვა თოფე-ბისა და რკოლკურებისა თოფისში.

(100-36)

ინფლისის მაღაზიაში

აწარუნის გალერეაში (Maison de confiance)

შეადრეთ ჩენი ჩაი ჩაის უველან — 1 მ. 10 კაბ. — 1 მ. 40 კაბ. — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაბ. — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაბ. — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაბ. — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაბ. სუფიუზო 2 მანეთ. — 3 მანეთ. ჩაის წონა-უქადადლოა, სხვაგან კი ქადადლით.

(100-60)

ქართული თეატრის შემოსავალ-გასავლის ანგარიში ერთის თვისა 5 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდინ 1881 წ.

Table with columns for 'შემოსავალი' (Income) and 'გასავალი' (Expenses). It lists various items like '1) 9 ოქტომ.' and '2) 17 ოქტომ.' with corresponding amounts in man and kopeck.

ღარჩა ვალი (დრფიციტი) ოთხას ორმოც-და-ჩვიდმეტი მან. და ოც-და-ცამეტი კაპიკა. ქართული თეატრის გამგენი

ანგარიშის ელგოგარეობა

იაგორ კასუმოვის და კამპ. სავაჭრო სახლისა

1 ნოემბრისთვის 1881 წ.

Table with columns for 'ღებები' (Debits) and 'კრედიტი' (Credits). It lists various items like 'ნაღდი კასსაში' and '1% ქადალები ამსანაგა-ბის საკუთრება' with amounts.

(3-1)

ხალხებში. მაგრამ, სამწუხაროდ, სეა-ნეთში ვერ ვხედავთ ამისთანა მოძღვრებს; აქ უმეტესი ნაწილი ისე-თი მღვდლები იგზავნებიან, რომლებ-ბიც ბევრით ვერ სდგანან ხალხზე წინ განათლებით; ისინი მარტო თა-ვის ჯიბისა და კუჭისთვის ზრუნვენ, და ხალხის გონებას გახსნის, ტვინის გაწმენდის და სწორ გზაზედ დაყენების მეცადინეობისათვის ბევრად არ იწუხე-ბენ თავსა.

ქაიხოსრო გელაგანი. სოფ. ცოლა, 12 ნოემბერი.

უცხოეთი

(გაზეთიდან)

საშრანგეთი. დიდს უკმაყოფილე-ბას აცხადებენ აღრინდელი ს.ფრან-გეთის ბანკის დირექტორის დე-ნორ-მანდის გამოცვლისა და ამის აღვილ-ზედ აღრინდელ ფინანსთა მინისტრის მანიენის დანიშნვის გამო. ბამბეტამ ისე დანიშნა მანიენი ამ აღვილზედ, რომ, როგორც წესია, არ დაეკითხა ბანკის გამგეობას. მა ეს იმიტომ მოახდინაო, რომ ბანკი ჩაიგდოს ხელთ, იყოლიოს მომხრედ და აქედამ გაე-ლენა იქონიოს ფინანსისტებზედ, რომელნიც არ ემადლიერებიან მანი-ც-ლა-მინც მისგან სხვა-და-სხვა ახალ შემოღებულ და შემოსაღებ ცვლი-ლებათ.

პარიში და დანარჩენ საფრანგე-თის ქალაქებშიაც საფრანგეთის ახა-ლი სამინისტროს შედგენის შემდეგ ხშირად იკრიბებიან ხოლმე საზოგა-დოდ ბამბეტას მოწინააღმდეგენი და ჰკიცხავენ იმას და მისს სამინისტროს. ამ ცოტა ხანში პარიში შეკრებილა რამდენიმე სოციალისტი, რომელთ შორის რევია გამოჩენილი ლუიზა მიშელი, რომელსაც წარმოუთქვამს, რომ მხოლოდ ბამბეტაა ღარსი სასჯე-ლისა, ძღემანსა, სპიულერი და სხვა-ნი კი მისი მოსამსახურენი არიანო.

— ბამბეტას მოლაპარაკება აქვს ამ ეჟად გრაფ შოდორთან, აღრინდელ საფრანგეთის წარმომადგენელთან მს-პანიაში, მის პეტერბურღში დანიშნე-ზედ წარმომადგენელად. აპბობენ, თუ ვრ. შარდარი არ იქმნა დანიშნული რუსეთში, კანდიდატი ამ თანამდებობაზედ იქმნება შულ ჩეროი. ბერლინში საფრანგეთის წარმომადგე-ნელად ბამბეტას ამორჩეული ჰყავს ჩრეისინე.

განსხვავებანი

ინფლისის მაღაზიაში ახლად მი-ღებულნი დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: ჰარესინა 40 კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ.—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და აღბომები ნახევარ ფასად და სხუ. (100-35)